№ 30 ხუთშაბათი, 20 თებერვალი 1897 წ.

1877 – 1897

ივერია

№ 30 ხუთშაბათი, 20 თებერვალი 1897 წ.

ᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲡ:

თვ.	მან. კ.	თვ.	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომ — —ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ №227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲯᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ №227

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲪᲐ 1897 ᲬᲚᲘᲡ

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

	მ.	კ.			მ.	კ.
12 თვით და 13 დღით	— 9	60	6	„ — — —	— 6	„
11 „ — — — —	— 9	50	5	„ — — —	— 5	50
10 „ — — — —	— 8	75	4	„ — — —	— 4	75
9 „ — — — —	— 8	„	3	„ — — —	— 3	50
8 „ — — — —	— 7	25	2	„ — — —	— 2	75
7 „ — — — —	— 6	50	1	„ — — —	— 1	50

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მგზავრებთ უნდა დაბაბრის გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверіи“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 ტ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლე ის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესად შესცვლა გინდეს უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მასთა; ხოლო თუ ქალაქის გარეთ ადგილს ერთ ადგილიდან სხვა ადგილზე გადავიდა სადმე ქალაქს გარეთ—ორი ბაზა.

თუ თვის განმავლობაში დაბაბრა ვინმე გაზეთი არა მიიღოს წლით, მას ეგზემპლარი გაზეთი მივუგზავნოს ამ თვიდან, რომელსაც დამბარებული ადნიშნავს.

1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჩსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჩსურს, იმას მიუვა გაზეთი შეიღის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ᲕᲘᲡᲐᲪ 1896 ᲬᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔ ᲗᲕᲘᲗ ᲘᲛᲘᲗ-ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲜᲝᲛᲘᲠᲘᲡ 17 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲛ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეესრულებათ. ვისაც ჩსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲡ ᲐᲗᲘᲡ ᲗᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲘᲐ 8 ᲛᲐᲜ. 33 ᲙᲐᲞ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 20 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ,

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲪᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“

სასარგებლოდ

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ბ. მ. ამირეჯიბი, კნ. კ. ფ. გურამიშვილი, კნ. ს. დ. ხიმშიაშვილი, ბ. ნ. შანშიევისა, ვ. ლ. ველიჩკო, ი. გ. კარგარეთელი, ი. მ. მატკოვსკი, ი. თ. სარაჯიშვილი და თ. აკაკი წერეთელი.

კონცერტის შემდეგ გაიმართება

ᲡᲐᲡᲪᲔᲕᲐᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ᲚᲔᲒᲣᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲢᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ

ტანსისამოსი: სამხედრო ჩვეულებრივი, დანარჩენთათვის ფრაკი სავალდებულო არ არის.

დაიწყება საღამოს 8½ საათზედ.

ბილეთები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა, სასახლის ქუჩაზედ) და კონცერტის დღეს კლუბის შეიცაროთანაც. (4—მ—3)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ.

შაბათს, 22 თებერვალს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, აბაშიძისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝ

დრ. 5 მოქ. დ. ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა და კარგარეთელისა ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, შათირიშვილი, მარჯანიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, თამაზიშვილი და სხვანი.

ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი
ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

მომავალ მარტის 9-ს დანიშნულია

ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲘᲠᲘᲕᲘ ᲙᲠᲘᲒᲐ

ტფილისის კეთილშობილთა დეპუტატთა კრებულის კანცელარიის სადგომში, სასახლის ქუჩაზედ, თავადაზნაურთა სახლში.

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი აფხაზი აუწყებს-რა ამას თავად-აზნაორობას ბორჩალოს მაზრისას, უმორჩილოდ სთხოვს: წარმოადგინონ წინადვე, ვიდრე კრება შესდგებოდეს, საბუთნი თავიანთის უფლებისა, რათა ნებაა მიეცეთ არჩევანებში დასწრებისა და თავად-აზნაურთა საქმეების განხილვისა. ეს საბუთნი უნდა წარმოდგენილ იქმნას დეპუტატთა კრებულის კანცელარიაში სიაში ალსანიშნავად.

ბორჩალოს მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი თავადი გ. აფხაზი.

(3—5—4)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 19 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ჩვენ, ქართველები, რაღაც უბედურ ბედზედა ვართ გაჩენილნი. საცა მიიხედავთ, ყველგან სწავლა-განათლებას ქვეყანაში ჭკუა შეაქვს, ზნეობის სიმაღლე და სიფაქიზე ჰმატულობს, გრძნობა ურთიერთობისა ძლიერდება, სიზოგადოს, საერთოს საქმეს მოღვაწენი უწნდებიან, გულ-შემატკივარნი მისნი უფრო და უფრო გულ-მხურვალედ ეკიდებიან ყოველ მას, რაც ავალდიდებას ქვეყნისას საერთოდ და საზოგადოებისას ცალკე შეადგენს ზნეობითად, თუ ქონებითად და ჩვენ-ში-კი ყველა ეს ჭნელდება, ყველა ეს უკან და უკან მიდის. მტერს, რასაკვირველია, ყოველივე ეს უხარიან და მოყვარეს-კი გული უკვდება.

რად არის ესე? რატომ ეგრე უკუღმართად ტრიალებს ჩვენი ბედი? განა ცოტანი არიან ჩვენ-ში სწავლა-განათლებით მირონ-ცხებულნი? შედარებით მთელის ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა, იქნება, ცოტანი იყვნენ, ამას უსათუოდ თითონ უფრო კარგად ჰგრძნობდა ბ-ნი კონი მაშინ, როდესაც იგი როვინსკის სამართლიანის მსჯელობით აღტაცებაში იყო მოსული. მხოლოდ „ამ მშვენიერის“ რჩევის მოკლემის შემდეგ გავიდა სწორედ ერთი წელიწადი და იგივე ბ-ნი კონი გვეუბნება: „მხოლოდ ჩირდილოეთ კავკასიაში, სადაც ნიადაგი უკვე მომზადებულია სასამართლო საქმეთა წარმოების ახალის კანონებისათვის, ე. ი. სტავროპოლის გუბერნიასა და ყუბანის ოლქში შეიძლება შემოღებულ იქმნან ნაფიცნი მსაჯულნი, რადგანაც იქ რუსნი მკვიდრნი უფრო ბევრი არიან, ვიდრე მთიელნი.“[5]) ამის გამგონეთ ისევ დაგვრჩენია ვიგულისხმოთ, რომ ზოგჯერ ისეთს კაცსაც-კი შესძლებია დავიწყება თავისისავე რჩევისა, როგორიც არის რუსეთის ცნობილი სენატორი ბ-ნი პ. ფ. კონი.

ჩვენ არ შევეხებით იმას, რამდენად უფრო მომზადებული იყო „ნიადაგი სასამართლო საქმეთა წარმოების ახალის კანონებისათვის“ რუსეთის იმ გუბერნიებში, რომლებშიაც 1864 წელს ახალი სასამართლოს წეს-წყობილებანი იქმნა შემოღებული, ვიდრე დღეს ამიერ-კავკასიაში არის მომზადებული ეს ნიადაგი. ჩვენ ამისას

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲑᲑ-ᲜᲗ Მ. Დ. ᲒᲝᲒᲘᲫᲘᲡ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲜᲐᲤᲘᲪ-ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ, ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ, ᲨᲔᲛᲝᲛᲔᲓᲒᲘᲡ ᲣᲪᲐᲠᲒᲘᲡᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ [1]) ᲓᲐ ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲘ Ა. Ფ. ᲙᲝᲜᲘ [2]).

ჩვენ აზრად არა გვაქვს ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტის განმარტება, ისტორიული მიმოხილვა და დალაგებით მოთხრობა იმისის მნიშვნელობისა რუსეთსა თუ სხვა სახელმწიფოებში, სადაც ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტი არსებობს. ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

რაიცა შეეხება ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტის განხილვას თანამედროვე იურიდიულს მწერლობაში, განსაკუთრებითი უურადღების ღირსნი არიან ნაფიც-მსაჯულთა მომხრენი ა. ფ. კონი, მ. ფ. გრომნიცკი, გ. ა. ჯანშიევი: ხოლო ნაფიც-მსაჯულთა მოწინააღმდეგეთა დასის მწერალთა რიცხვს ამშვენებენ ბ-ნნი დეიტრიხი, ზაკრევსკი და კინინი (ეს უკანასკნელი რამდენისამე წლის წინად ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელად იყო).

აქ მხოლოდ გაკვრით შევნიშნავთ, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს რუსეთში ისეთი ბედი ეწია, როგორიც თან მოსდევს ხოლმე თითქმის ყოველს ახალს თვალ-საჩინო დაწესებულებას ხალხის ცხოვრებაში. ჯერ კიდევ არ დაბადებულიყო, ან, უკეთ ვსთქვათ, რუსეთის ჰაერი არ მოხვედრიყო ამ ინსტიტუტს, რომ გამოჩნდნენ მისი მტრები გრაფის ბლუდოვის მეთაურობით, რომელიც 1860 წლებში აი, სხვათა შორის, რასა სწერდა: „ადვილი წარმოსადგენია ნაფიც მსაჯულთა მოქმედება იმ დროს, როდესაც ჩვენის ხალხის უმეტესობას არა აქვს შეგნებული არა თუ იურიდიული, არამედ პირველ-დაწყებითი განათლება, როდესაც ხალხს იქამდის არა გაეგება-რა არც უფლებისა, არც მოვალეობისა, რომ სხვისის უფლების შებღალვა უბრალო რამედ მიაჩნია, ზოგიერთი დანაშაულობანი ვაე-კაცობად და თითონ დამნაშავენი კი — მხოლოდ უბედურ ადამიანებად. ამ ნაირ მოუმზადებელ და გაუნათლებელ კაცების ხელში სამართლის ჩაგდება არა თუ საძნელოა, არამედ სრულიად უსამართლობას უდრისო [3]). მაგრამ იმ დროსაც-კი, როდესაც ამ შფრე მოსაზრებათა სწერდა გრაფი ბლუდოვი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს უფრო მეტი მომხრეები ჰყავდა, ვიდრე მოწინააღმდეგენი, და პირველთა რიცხვში უპირველესი ადგილი ეჭირა დ. ა. როვინსკის ეს უკანასკნელი შეეკამათა გრ. ბლუდოვს. „მართალიაო, უპასუხებს როვინსკი, ხალხს ეცოდება სისხლის სამართალში მიცემული, რომლებიც იძულებულნი არიან საქმის გარჩევამდის რამდენიმე წელიწადი საპყრობილეში იტანჯოს და თავიანთი ცოლ-შვილნი მშიერ მწყურვალნი, ღვთის ანაბარად დასტოვონ. თუ ამ შემთხვევაში ხალხი გულ-მტკივნეულობას იჩენს, ეს იმის უფრო ღრმა ზნეობრივს ღირსებას ამტკიცებს, ვიდრე გონებრივს განუვითარებასაო.“

„დიახ, ჩვენში ხალხი მართლა საკმაოდ განათლებული არ არის; ისიც მართალია, რომ ხალხს არა აქვს შეგნებული გრძნობა კანონიერებისაო, განაგრძობს როვინსკი, მაგრამ ეს სამწუხარო მოვლენა ხალხის გაუნათლებლობის მიზეზი არ არის; მით უმეტეს, რომ არც ერთ სხვა სახელმწიფოსაც არ შეუძლიან დაიჭადოს, რომ საზოგადოდ ხალხში გავრცელებული იყო იურიდიული განათლება; ამის მიზეზი უფრო ღრმად არის გამჯდარი; უფრო ხშირად კაცი მაშინ არის მეტად წინდახედული, როდესაც იმის საქციელს თვალყურს ადევნებს საზოგადოება, რომელსაც ხელთ უპყრია თავისი დამნაშავე წევრის სასჯელი, შეუძლიან გაჭიცხოს იგი ცუდის საქციელისათვის. რა წინდახედულებას უნდა მოველოდეთ კაცისაგან იქ, სადაც საზოგადოების ხმა სრულიად არ ისმის. თავრობამ უნდა შეაჩეროს საზოგადოება, რომ თავისის წევრის საქციელი თითონ საზოგადოებამ განარჩოს და განასამართლოს: კარგი უქმს, ცუდისთვის გაჭიცხოს, ამ ნაირის მსაჯულების საშვალებით მთავრობამ უნდა შეუეერთოს თავისი ინტერესი საზოგადოების საპიროებას. ამბობენ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ჩვენში უდროვო არისო და სხვა-და-სხვა, ჩვენ-კი დარწმუნებულნი ვართ წინაალმდეგ, რომ ეს მსაჯულები, სასტიკნი და ყველასგან ჰატივსაცემნი, წინ უნდა მიუძღოდნენ საზოგადოებისა და თვით მსაჯულთა ყოველსავე იურიდიულს განვითარებას, რომ მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა შემწეობით ხალხი შეიგნებს სამართლიანობას და არ მიიჩნევს ქურდობას უბრალო საქმედ.“

„ამ შვენიერის სტრიქონების ხშირად მოგონება ჩვენს დროშიაც, 35 წლის შემდეგ, სასარგებლო იქნებოდა, სწერს ბ-ნი პ. კონი.“[4]) სრულს ეუშარიტებას ჰღალდებს ბ-ნი კონი.

---

[1]) „Журналъ Министерства Юстиціи“, № 8, ნოემბერი 1896 წ. „Къ вопросу о реформѣ уголовнаго судопроизводства въ Закавказскомъ Краѣ“ М. Е. Гегидзе.

[2]) „კავკასიის სამართლისა და ცხოვრების გარემოებანი“, მოხსენება სენატორის ა. კონისა.

[3]) იხილეთ №1, ივნვარი „Вѣстн. Европы“ 1896 წ., Дмитрій Александровичъ Ровинскій,“ очеркъ А. Ѳ. Кони.

[4]) იქავე, „Вѣстн. Европы“ წიგნი პირველი. 1896 წ.

[5]) იხ. „ივერია“, № 19, 1897 წ. მოხსენება სენატორის პ. კონის „კავკასიის სამართლისა და ცხოვრების გარემოებანი“.

მაგრამ ეს-კი უეჭველია, რომ სწავლა-განათლებულნი ახლა უფრო ბევრნი გვყვანან, ვიდრე წინად. მაშ რად დაგვემართა ესე? ეს მით უფრო საოცარია, რომ გონება-დახშულობა, აზრის უზნეობა, საზოგადო საქმის ძარღვის და წესის გაუგებლობა, ყოველივე ეს უფრო ეგრედ წოდებულ სწავლა-განათლებულს ემჩნევა ჩვენში. ყველაზე, რასაკვირველია, ეს არ ითქმის, მაგრამ ვისზედაც ითქმის, განა საკვირველი და საოცარი არ არის?

გაუნათლებელს კაცს, რომელსაც არც-კი მიჰკრავია სწავლა-განათლება, ყოველივე ეს ისე თუ ისე შეენდობა და იმაზე-კი რა უნდა ვთქვათ, რომელსაც თავი მოაქვს და სწავლა-განათლებით თავი მოსწონს. დღეს ბულვარზედ რომ გაიაროთ მთელი ჯგუფი შეგხვდებთ ამისთანა თვე-მომწონე განათლებულებისა და ერთი ყური დაუგდეთ რა საანბანო საგანზე აქვთ ერთი გაცხარებული ბაასი, ერთი გაკაპასებული საუბარი, თითქო წინ ერთი დიდი რამ ეშმარიტება აქვთ აღმოსაჩენი. რა თქმა უნდა, ჯერ ადგილი, საცა ამისთანა აზრთა ჭიდილს ჰმართავენ ხოლმე ის ვაჟ-ბატონები, ამხილებს იმათს ქარაფშუტობას, თავ-ცარიელობას და მერე თვით ის საანბანო საგანი, რაზედაც აგრე ცხარედ სჯიან და ჭლეპარაკობენ, ჰმოწმობს იმათს გონება-უფვრთნელობას, გონება-დაცემულობას და უქმად ყოფნას.

ამა ღვთის წყალობას არ უნდა მიაწეროთ, რომ კაცმა, რომელსაც თვალადად მიინც ფერი ადევს სწავლა-განათლებისა, არ იცოდეს რა მოეთხოვება საზოგადო საქმეში ჩაბმულს მოღვაწეს, რომელსაც უკისრნია საზოგადოებისაგან დავალებული და ჩაბარებული საქმე. ერთი ამისთანა სწავლა-განათლების ფერ-

ადი ეგეთ ბერიკაცი, ეგეთ ბერიკაცი, ეგეთ ბერიკაცი,

ქის სასამართლოს მდივნის თანაშემწეს ტიტულიარნი სოკეტნეკი ლორთქიფანიძეს—კოლეგიესი ასესორობა; ქუთაისის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწეს, გუბერნსკი სეკრეტარს ხაბაურიძეს—კოლეგიესი სეკრეტრობა; ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსს კანდიდატს, გუბერნსკი სეკრეტარს ხაბურძანიას—კოლეგიესი სეკრეტრობა; კოლეგიესი რეგისტრატორებს: ზუგდიდის მომრიგებელ-სასამართლოს განყოფილების მდივანს დარატიას, ოზურგეთის მომრიგებელ-სასამართლოს მოხელეს ანჯაფარიძეს და ქუთაისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელეს ახვლediانს—სამივეს გუბერნსკი სეკრეტრობა; კოლეგიესი რეგისტრატორობა: სვანეთის-მომრიგებელ-სასამართლოს ბოქაულს თაყაიშვილს და ქუთაისის ოლქის სასამართლოს საკანცელარიო მოხელეთ კიკვაძეს და წერეთელს.

ახალი ამბავი

—

** კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. ამილახვარმა 6 თებერვალს ბრძანება გასცა, რომლითაც როგორც ქრისტიანეთ, ისე მაჰმადიანთ აღმოსავლეთის წმიდა ადგილებში სალოცავად წასვალა აღკრძალულ აქვთ წელს.

** ავჭალის ქუჩის ცხენის რკინის გზის პატრონნი ყორღანოვი და ალიბეგოვი უკვე მორიგებიან ბელგიის უსახელო საზოგადოებას იმის შესახებ, რომ თავიანთი ცხენის რკინის გზაც ამ საზოგადოებას მიჰყიდონ, რომელმაც ყოველივე პირობის შესრულება უნდა იკისროს, რაიცა ყორღანოვს და ალიბეგოვს კონცესსიაში უწერიათ. ყორღანოვი და ალიბეგოვი ხსენებულ საზოგადოების მეაქციენი იქმნებიან და იმ საზოგადოების მოგებასა და ზარალში წილი ექმნებათ.

** „კავკასიის ხასიათის გამასწორებელ სასოფლო, სამეურნეო და სახელოსნო ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოებას“ განუზრახავს ახალი ახალშენი დააარსოს მცირეწლოვან დამნაშავეთათვის და ამიტომ ჰსურს საკუთრებად შეიძინოს მიწა ასე ას დღიურამდე (50 დესიატ.). ეს მამული ქ. ტფილისიდგან ასე ორის საათის სავალზედ უნდა იმყოფებოდეს. თუ ვისმე მოეძებნება ასეთი მამული და შეუძლიან მისი დათმობა სასყიდლით ამ საქმისათვის, უნდა აცნობოს ეს ამბავი ამ საზოგადოების მმართველობის თავმჯდომარეს თეოდორე ალექსანდრეს ძეს ბიკოვს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში.

** პირველსა და მეორე თუმანოვის ქუჩებში გავრცელებულია ბავშვების ქუნთრუშა და სხვა საბავშვო სატკივრები. ეს ქუჩები მეტად ბინძური და უსუფთაო ქუჩებია, დაგვა არასდროს არ ეცილისება ხოლმე. თუ დაიგვება—მის შემდეგ მოგროვილი ნაგავი ერთ კვირას რჩება აუკრძავი და გადაუყრელი. ამ სენმა ამ დღეებში იმსხვერპლა მ. ჯ. 3 წლის ყმაწვილი, ბევრს ოჯახში ჰყავთ უხლაც ავადმყოფი ბავშვები.

** ბ-ნ მ. ჯანაშვილის მიერ დაწერილი „ოსეთის ისტორია“ კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების ჟურნალში უკვე დაიბეჭდა და ახლა ამავე ჟურნალში იბეჭდება მისივე წერილი „თორმეტ ქვათათვის“, მეათე საუკუნის ძველის ქართულის ხელნაწერიდგან ნათარგმნი.

** როგორც გაზ. „ტიფ. ლისტ.“ გვაუწყებს, სოფელ კულისში (ტფილისის მაზრაშია) შავი სახადი გაჩენილა თურმე. სენს ბევრი უსსხვერპლია, მაგრამ ექიმი ჯერ არ მისულა თურმე იქ. იმედი უნდა ვიქონიოთო, ამბობს კორესპონდენტი, რომ ექიმი დროზედ მოგვიშველება, თორემ ეს სენი ჩვენგან სხვა სოფლებშიაც გავრცელდებაო.

** სიჭილაო. ჩვენს სოფელში სამი გზა იყო და ამ ჟამად სამივე ისეა გაფუჭებული, რომ მისვლა-მოსვლა თითქმის შეუძლებელიაო. სხვას ვიღა სჩივის მაგრამ, ვისგანც ჯერ არს, თუ ყურადღება არ მიაპყრო, ეკლესიაში მისვლაც კი არ შეგვეძლება:

** სუფსა. 11 თებერვალს რკინის გზის სადგურ სუფსაზედ ხალხს გამოეცხადა მთავრობის განკარგულება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუარონ თავს, რა სისუფთავე უნდა დაიცვან სახლისა და კარ-მიდამოში, რომ შავი ჭირისაგან უზრუნველ ყოფილ იქმნენო. ხალხმა დიდის ყურადღებით მოისმინა ყოველივე ეს და, როგორც გურულებისაგან მოსალოდნელი იყო, განაცხადეს, რომ თავრობის ბრძანებას შეასრულებთო. ზოგან ხმა გაისმოდა: „ჩვენც უნდა გვიამოს სიწმინდე და სიფაქიზე, და ასე რავა წავხდით, ამაზე ბრძანება დაგვეჭირდაო“.

** ჩვენ მივიღეთ ბაქოს სტამბის „ბორო“-ის მიერ გამოცემული რუსულს ენაზედ ბაქოს ცნობათა კალენდარი („Бакинскій справочный календарь“ 1897 წლისა. კალენდარის დამატებაში დაბეჭდილია ბაქოს წერილები: „ბაქოს ნავთის წარმოების მცირე ისტორიული აღწერა“. თითო კალენდარი ჰღირს 50 კაპ.

** ბბ-ნი ყორღანოვსა და ალიბეგოვს ქალაქის გამგეობისათვის მიუმართავთ და სთხოვენ, რომ მოახსენეთ საბჭოს—ნება დაგვრთოს გარდავცეთ ჩვენი ცხენის რკინის გზა უცხო საზოგადოებასაო.

** საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებას აზრად აქვს სასტიკად თვალ-ყური ადევნონ მწველელ საქონელს ტფილისში, რომ ეს საქონელი ადამიანის ჯან-საღობის მავნებელი სენით არ იყოს შეპყრობილი.

** გორი. 15 თებერვალს გორის დედათა პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ იქაურს კლუბში ქართული სცენის მოყვარეთ წარმოდგენა გაჰმართეს. წარმოადგინეს ბ-ნ სუნდუკიანცის 3 მოქმედებიანი კომედია—„დაქეცული ოჯახი“, ბ. ა. ცაგარლის მიერ ნათარგმი 1 მოქმედებიანი ვოდევილი, „პრიკაზჩიკი შაფში“. ამ საღამოს ცუდი დარი იყო, მაგრამ წარმოდგენას ხალხი მაინც ბლომად დაესწრო და შემოსავალიც კარგი იყო.

** სამტრედია. თითქმის ყველგან დიდს მზედაბაში არიან, რომ შავ ჭირს ღირსეულად დაუხვდნენ, მხოლოდ სამტრედიაში ჯერ-ჯერობით ყურსაც არავინ იბდერტავს, თუმცა აქ ნაკლები უსუფთაობა არ არის. თუ დროზედ არ ვიზრუნეთ ჩვენის თავისათვის, მერე გვიანღა იქმნება, და რაც მოგვივა ჩვენსავე თავს უნდა დავაბრალოთ.

იანვარში აქ მაისივით მშვენიერი დარები იდგა, მაგრამ ამ თებერვალმა გამუდმებულის თოვლ-ჭყაპით ყველას თავი მოგვაბეზრა.

** ქვრივს ეკატერინე ყარაგიოზოვისას შარშან რკინის ყუთი დაეკარგა, რომელშიაც 170 მან. ფული და 1800 მან. სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები ჰქონდა. პატრონმა ეუბნა თავის მზარეულ გიორგი ღამბაშიძეზე მიიტანა, რომელიც გამომძიებელმა დაატუსაღა, მაგრამ ისევ ჩქარა განთავისუფლა თავდებობით. პოლიცია ამ ხნის განმავლობაში მაინც თვალ-ყურს ადევნებდა ღამბაშიძეს და დაკარგულს ნივთებს დაეძებდა. პოლიციის მოხელემ საყვარელიძემ გაიგო, რომ ის ნივთები ღამბაშიძემ სოფ. ქორეთს, შორაპნის მაზრაში, გაჰგზავნაო. ეურროსის მინდობილობით ბ-ნი საყვარელიძე ქორეთში წავიდა და მართლაც რამდენიმე დაკარგული ნივთი ღამბაშიძის სახლში იპოვნა. ამის გამო ღამბაშიძე ხელმეორედ დაატუსაღა გამომძიებელმა.

** სოფ. ჯურუჯეთი,(გურია):ჩვენში აქამდე სასწავლებელი არ იყო. მხოლოდ აქაურ ეკკლესიის მღვდლის მამა ეპიფანე ჩხაიძეს თავგამოდებულის ცდითა და შრომით ავაგეთ შენობა სასწავლებლისათვის და 19 იანვარს კიდეც იკურთხა იგი. ამ სასწავლებელში ეხლა ორმოცამდე ყმაწვილი სწავლობს. ვინც სასწავლებლის დაარსებას ნივთიერად შემწეობა აღმოუჩინა, იმისი შვილები უსასყიდლოდ სწავლობენ და ვინც არა, ის მხოლოდ სამ მანეთს იხდის წლიურად.

სამკითხველოს დაარსების ნებართვას დიდი ხინიაგშუამდგომლობთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ ვეღირსეთ პასუხს. ამ ჟამად ხელის-მოწერა გვაქვს გამართული და ცოტაოდენი ფულიც შეგროვილია.

წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპოდენტისაგან).

6 თებერვალი.

გულ-მოსული ხალხი ერთმანერთს აგინებს,—ტაუღილად შეგვაშინე, გული გაგვიხეთქეო, თითქოს უმჯობესი იქნებოდა, რომ რამე მოსახდარიყო. გუშინდელმა მოგზაურობამ სულთანისამ წყნარად ჩაიარა. მართალია, ის ორი ვებერთელა ქუჩა სრულიად შეკრული იყო ჯართა და პოლიციელებით დილის ექვსის საათიდგან საღამოს ხუთ საათამდე, მაგრამ სხვა დროს მაინც უფრო სასტიკად მოქცეულან. ამისი მიზეზი თურმე ის იყო, რომ სულთანს ფიქრად არ მოსვლია ამ გზით გავლა-გამოვლა. ის წავიდა ზღვით და ზღვითვე წამოვიდა.

სამშაბათ საღამოს, 5 თებერვალს, საათის შვიდზედ ამოდენა ქალაქში აუარებელი მეფეურნეთა ზორის ერთის ჯარის შოვნაც არ შეიძლებოდა. ყოველი მოსახლე ათ-ათს და ოც-ოც ჯერს და სხვა ხორაგეულობას წინადღითვე იმზადებდა. გუშინ ხომ იმდენი წვალება და ზიში გამოიარა ხალხმა, რომ ძნელია წარმოსადგენად. ერთის ბერძნის სახლში, სხვათა შორის, ერთი მარტოხელა კაცი იდგა, სახლის პატრონი მთელს სახლობით ნათესავებში გაიხიზნენ, ეს კაცი სამსახურში წავიდა, დარჩა ვეებერთელა სახლში მარტო ახალგაზდა ქალი, შიშისაგან სარდაფში ჩავიდა თურმე, იქ, სანახშირეში, გამოსწია აქეთ-იქით სხვა-და-სხვა ნივთები და ჩაიმალა, რომ არ მოგაგნონო; სანამ დაღამდებოდა უშველ-უსმელი იყდა საწყალი იქ. მეორე სახლში ერთი ახალ-გაზდა ქალი კინაღამ შიშით ჭკუიდგან შეიშალა.

ყველაზედ მეტად აქაურებს ის აღელვებს, რომ ყოველ დღე ქუჩებში აუარებელი დაბეჭდილი და ხელნაწერი ქაღალდები დაფრინავს, რომელიც აგულიანებს ხალხს „აღსდექით, რას უყურებთო“. ამბობენ, ეს ქაღალდები სომეხთა ⁊ ახალგაზდა ოსმალთ შეერთებულის დასის შედეგ ნიღაია. გუშინ დილით ადრიანად მეტ ნაწილს აქაურის მცხოვრებლებისას ბანებზედ დაინახავდით, ყველა ზღვისაკენ გაიყურებოდა, იქნება რუსეთის ფლოტი დავინახოთო, მაგრამ ვერ ეღირსათ. ამბობენ, ვითომ რუსეთის შავის ზღვის ფლოტს აქ უნდოდა გამოვლა კრეტსა და ათინაში წასასვლელად და ოსმალეთის მთავრობას არ ეჭმნა. ათას ნაირს ჭორს ავრცელებენ სხვა-და-სხვა ცრუპენტელა კორრესპონდენტები სარაიისა და სულთანის შესახებ და ნამდვილად კი არავინ არა იცის-რა.

კრეტის შესახებაც ხომ იმდენი მითქმა-მოთქმაა, რომ ძნელია კაცმა საფუძვლიანი გაიგოს რამე.

რაც შეეხება აქაურს შიშსა და ამბოხების მოლოდინს, დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ კიდევ რამეს მოახდენენ, ისევ სომეხი, თორემ ახალგაზდა ოსმალთაგან სრულებით არავითარის მოძრაობის იმედი არ არის, რადგან რაც იენი ჩარები მოისპო, მას შემდეგ ოსმალეთის დაბალ ხალხს არავითარი საპოლიტიკო მოძრაობა არ ემჩნევა. იმათს მოძრაობას ყოველთვის ხელს უშყობდნენ თვით ფაშები, დღეს კი ფაშები თითქმის ყველანი სულთან ხამიდის თანამოაზრენი არიან.

გაზეთები იმასაც სწერენ, რომ იზეტ-ბეგიმ სულთანის წყალობა დაჰკარგო, მაგრამ ესეც სიმართლეს მოკლებულია. იზეტ-ბეგს არასოდეს არა ჰქონია პოლიტიკაში დიდი გავლენა. ის მარტო ერთგული მონაა სულთანისა და მეორე მესაიღუმლე ეწოდება. ფოატ-ფაშა კი ისევ ისეა, როგორც იყო. იმისი პოლიტიკა, როგორც მეტად ძნელად გასაბედავი, არც წინედ იყო შეწყნარებული და არც ახლა არის. ის როგორც მარშალი, არც კი იკისრებს სულთანის მდგინობას, ეს მისი დამცირება იქნება. ისე-კი სულთანი, როგორც გავლენიან კაცს, ფრთხილად ეპყრობა და პატივსა სცემს.

იასე რაჰველი

ნაწუვეტი

—

მოდი, მოძღვარო, სადა ხარ,
გადაგვრეცხია მირონი,
გვითხარ და გვითხარ სიტყვები,
გულისა გასამირონი,
ეგებ მორჯულდეს ქვეყანა,
იწამოს უსაპირონი,
აღარც ხღებოდნენ ბეჩავნი
მგელკაცთა სანადირონი.

დ. მაჩხანელი

დამაგვირდი

(შეტეტნეიმი)

ადამიანი ადვილად ჭკვრეკის მოიმატებს და რა ძნელი საბოლოელი კაცს ადვილად დასაკვრეი.

***

მამა-კაცთა მოსუტებულობა ამ დღიდამ იწყება, რაცა დედანი მეეხლობიან და გაეხლობიან ხოლმე.

***

შირველი საყვარული მის დღეში არ არის ხოლმე უკანასკნელი, ხოლო უკანასკნელი-კი სრარად პირველია.

ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ჩრდილო ამერიკის შტატებში სხვათა შორის ორი უშველებელი ქალაქია ნუიორკი და ჩიკაგო, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან, აბა ვინ უფრო გაკაკვრებს რითმიე ქვეყანასაო. როცა დიდი გამოფენა იყო ჩიკაგოში, მაშინ ყველამ ჭნაბა უშველებელის სიმაღლის სახლები, რომელიც ამ ქალაქშია. ნუიორკი ამა როგორ მოიხვენებდა, რომ ჩიკაგოს ამისთანაებში მისთვის გაეცწრო და ეჯობნა. შეუდგა უფრო უმაღლესის სახლების შენებას. ერთი უბანია ნუიორკში, საცა ვაჭრობა და ადებ-მიცემობა ღუღს და გადმოდის. ეს უბანი იგი ადგილია, საცა თითქმის მთელი ნუიორკი იყო პირველ გაშენებული. ეს ის ძველი ნუიორკია, რომელიც ამ ოთხმოცის წლის წინად იყო.

ჯიბრს რომ თავი დავანებოთ, გაჭირებამ მიიყვანა ნუიორკი იქამდე, რომ სხვა გზა არ არის, თუ მაღალი სახლები არ აშენონ. ქალაქის მიწა ისე გაძვირდა, რომ ერთს ოთხ-კუთხედს ფუტს (ფუტი ერთი მეშვიდე

გონილ ფოტოგრაფიით შესაძლოა ადამიანი გადადებულ იქმნას ისე, თითქო მისგან ლუსკუმაა (სტატუა) გაკეთებული. ყოველივე ასო ადამიანისა ისე გადიღება თუმცა, როგორც არის ნამდვილად. აქამომდე გადადებულ სახეს ადამიანისას ხელი რომ გადაუსვათ, ხელი არას მოედება, იმიტომ-რომ სპირტფუზეა გაკრული. ახალ მოგონილ ფოტოგრაფიას გადადებულს სახეზე-კი ყოველივე ასო თავისის სიგძე-სიგანე-სიმაღლით და მოყვანილობით გამოჰყავს ასე, რომ თვითვეული ასო გამოქანდაკებულია, რგორც ლუსკუმაზე და ნამდვილ რელიეფს წარმოადგენს სახისას და ტანისას. (Ქ. ნ. Მ.)

***

დაღალულ და გაოფლიანებულ ცხენს წყალი არ უნდა დაალევინონ ორისა და სამის საათის განმავლობაში მაინც მას აქედან, რაკი შინ მივა. მაგრამ ზშირად საჭიროა ხოლმე და ცხენიც ძალიან მონდომილი წყალი დალიოს. ამ შემთხვევაში სრულიად უშიშარია ცხენს თბილი წყალი დაალევინოთ, რაც გინდ დაღალული და გაოფლიანებული იყოს. მარტო ცივი წყალია მაწყინარი და თბილი წყალიკი სრულიად უწყინარია და უვნებელი. დაღალული და გაოფლიანებული ცხენი ამამცთუ ერიდება თბილს წყალს, არამედ ხარბადაცა სვამს, მალე მოეღონიერდება და საკმელსაც კარგად და მადიანად დაუწყებს ჭამას. რამდენადაც წყალის სითბო ცხენის ტანის სითბოს თანასწორი იქნება, იმოდენად უფრო კარგია და უვნებელი თუმცა დაღალულ ცხენის სასმელად. (Გ. Ბ.)

ᲬᲔᲩᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ბ-ნო რედაქტორო,

გაზ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲘᲡ“ მე-22 №-ში შესახებ ნეტარ ხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის ბანაშიდის ოზურგეთის ᲒᲘᲒᲘ დესაში 26 იანვარს გარდახდის შესახებს შენიშვნაში სთქვამი ეო, რომ „ბ-ნმა ქორიმ თავისი ᲒᲚᲝᲑᲐ არ დაამთავრა და მიზეზი ამისა კერ გიგიგეთო“. წარსულის 1896 წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში გაჯლით ეიყვა ქ. ოზურგეთში, საკრებულო ტაძრის ხამდვედლოებმ მიმიწეა და მოსოკვა, რომ ხსენებულ ტაძარში მეგალობებანა ჩემ მაერ ნოტებზედ გადაღებული წირვის გალობა ოოსნე ოქროშირისა. ორის თვის განმავლობაში სრულის წირვის გალობა მოკამზადდ ათ ნოემზრიდგან აქამდე ხორო ᲒᲚᲝᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲛᲘᲗ ᲓᲦᲔᲑᲨᲘ. დასარჩენ საგალობლების შესახებ არც დაკადება მქონია ეისმესგან და მაშასადამ, არც უფლება და არც ქონებრივი საშუალება რომ კიდეკ სხვა საგალობლების მომზადება განმეგრძო. ᲯᲣᲠ-ᲯᲣᲠᲗᲝᲗ ᲒᲘᲗᲮᲝᲗ ბ-ნ კორესპოდენტს დაგმაოოფიდეს ამ მოკლე მასუხით. დაწერდებით და დადაგებით გარემოება ამ საქმისა თავის დროზედ მოახსენდება.

ᲤᲐ. ᲥᲝᲠᲘᲫᲔ

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 თებერვალი

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 18 თებერვალს ნაშუადღეევის 2 საათზე პეტრე-პავლეს ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი იმპერატორის ნიკოლოოზ 1-ის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ იპერატრიცა მარია თეოდორეს ასული და დიდნი მთავარნი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ორის დღის ბრძოლის შემდეგ 2 თებერვალს დაპყრობილ იქმნა ქალაქი ილორინი, ნუპიის ემირის სამეფლობელო. ეეროპიელთაგანნ არავინ არის მოკლული. ბრძოლა გათავებულია.

ᲙᲐᲜᲘᲗ. უცხო ქვეყნის სამხედრო გემები, რომელნიც 13 თებერვალს (25-ს) სელინოს წავიდნენ — ᲯᲔᲠ არ დაბრუნებულან. სამმა მაჰმადიანმა, სელინოდგან გამოქცეულმა, განაცხადეს, რომ ჩვენი ამხანაგები ძლიერ გაჭირვებულს მდგომარეობაში არიანო, ამ ამბავმა აქაური მაჰმადიანნი ძალიან შეაშფოთა. ისინი რამდენᲯერმე შეიკრიბნენ დიდად აღელვებულნნი. ჰშიშობენ, რომ ძალ-მომრეობა არა მოხდეს-რაო. ᲐᲮᲐᲚᲒᲝᲜᲘ ᲫᲐᲠᲪᲐ-ᲒᲚᲔᲯᲐ ᲯᲔᲠ არ შეწყვეტილა. საფრანგეთის კონსულის სახლი აკლებულია.

ᲡᲝᲤᲘᲐ. სერბიის მეფის ალექსანდრეს აქ ჩამოსვლისა გამო დღეს დილიდგანვე მთელი ქალაქი ბაირაღებიან აყო მორთული. ყველგან ხალხი ᲯᲒᲣᲤ-ᲯᲒᲣᲤᲐᲓ სდგას და დიდად აღტაცებულია. მეფე მობრძანდა დილის 11 საათზედ: თან ახლდნენ მინისტრნი სიმიჩი და უიჩი და სამხედრო და სამოქალაქო ამალა. მეფეს ეცვა სერბიის მუნდირი და გაკეთებული ჰქონდა ბოლგარიის წმ. ალექსანდრეს 1-ს ხარისხის ორდენის ლენტი. მთავარს ფერდინანდს გაკეთებული ჰქონდა სერბიის წმ. საბას ორდენის ლენტი და მეფეს რკინის გზის სადგურზედ მიეგება. მას თან ახლდნენ ამალა, მინისტრები, სამლვდელოება, დიდ-ხარისხოვანნნი სამხედრო და სამოქალაქო წოდების მოხელენი. მთავარი გულითადად მიესალმა მეფეს და მშვიდობიანად მობრძანება მიულოცა. მეფემ სალამი მისცა სპატიოს დარაჯს, რომლის მუსიკაც სერბიისა და ბოლგარიის საერო საგალობლებს უკრავდა. სოფიის მიტროპოლიტმა პაროენმა დალოცა მეფე ᲯᲯᲐᲠᲘᲗ, რომელსაც მეფე ემოხვია. მეფის დასახვედრად არჩეულ საქალაქო კომისიის პრეზიდენტმა პურ-მარილი მიართვა მეფეს და მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. მეფემ მადლობა გარდაუხადა. რკინის გზის სადგურის შენობაში მეფეს წარუდგენენ: საერო კრების თავმჯდომარე და დიდ ხარისხოვანნნი სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი. სპპატიო ეტლით მეფე და მთავარი სასახლეში გაემგზავრნენ. რკინის გზის სადგურიდგან სასახლემდე ᲯᲐᲠᲘ იყო გამწკრივებული და ᲯᲐᲠᲘ უკან ხალხი იდგა. მეფის პატივსაცემლად გამართულს კამარა შეკრულს გასავლათან მთელი ეტლი ყვავილებით აავსეს. სტუმრები სასახლის მშვენიერს ეტლებში ისხდნენ. ხალხი დიდად გულ-მხურვალედ მიეგება მეფეს და გაისმოდა „ᲪᲘᲕᲘᲝ“. სასახლეში მეფეს მიეგება თთავრის მეუღლე მარია ლიზა. 4 საათზედ მეფე წაბრძანდა საელჩოლმატიო სააგენტოში და სერბიის ახალშენის მცხოვრებნი ინახულა. საღამოზედ ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. სასახლეში დიდი სადღესასწაულო სადილი იყო გამართული.

19 თებერვალი

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. როდესაც თანამდებობის მქონენი გამოეცხადნენ, თავიდა იმერეთინსკიმ უთხრა სამოქალაქო წოდების მოხელეთ: „მე აქ მოვედი რა, სრულიად უცხო კაცი ვარ სამოქალაქო მმართველობა-გამგეობის საქმისათვის მაგრამ ორსა უმოწყალეს რუსკრიპტში, რომელნიც ბოძებულია შუვალოვისა და აპუხტინის სახელობაზედ, ესოდენ ნათლად არის გამოთქმული სახელმძღვანელო დედააზრნი ჩემის მოღვაწეობისათვის, რომ იმის მეტი აღარა დამშთენია-რა სავსებით აღვასრულო მისის უდიდებულესობის წინა განზრახულებანი, კანონიერობის საზღვართა გადაუცდენელად. დარწმუნებული ვარ, ბატონებო, რომ გულმოდგინე და განათლებულ თანამშრომლობას გამიწევთ“. სამხედრო წოდების მოხელეთ თავადმა იმერეთინსკიმ—გამოუცხადა, რომ იმედი თქვენის დახმარებით ვარშავის ოლქის საუხოო ᲯᲐᲠᲘ ეგზომ სქებადეე მყავდეს, როგორც იყო ჩემთა წინამოადგილეთა გურკოსა და შუვალოვის დროსაო.

ᲑᲔᲚᲒᲘᲜᲘ. იმპერატორმა ინახულა სპარსეთის საელჩო, რომელიც იმიტომ არის მოსული, რათა აუწყონ ᲨᲐᲰᲘᲡ ᲢᲐᲢᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲝᲜᲘ ᲢᲐᲮᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „სტარდარ“-ს დეპეშით აუწყებენ კანეიიდგან, რომ გზა სრულიად თავისუფალია, რადგან ინგლისისა და იტალიის ზღვის ᲯᲐᲠᲘᲡ-ᲙᲐᲪᲘᲜ ᲘᲪᲐᲙᲔᲜᲝ. ამგვარად ნახევარ-კუნძულს აკროტირში მყოფნი მეამბოხენი განკერძოებულნი არიან. ადმირალებმა გადასწყვიტეს დიდთა სახელმწიფოთა მფარველობა გაუწიონ სელინოსა და კანდანოსაც. იქ გაგზავნილ იქმნა ოთხი გემი. პოლკოვნიკს ვასოსს წინადადება მიეცა, ნება დართეთ მაჰმადიანთ ᲯᲯᲐᲮᲝᲑᲘᲗ წასვლისაო.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ. ელჩებმა პორტას გარდასცეს ნოტა კრეტის შესახებ, რომელშიაც განმარტებულია მოქმედებანი დიდთა სახელმწიფოთა კრეტის საბერძნეთთან შეერთების წინააღმდეგ, საბერძნეთის ᲯᲯᲐᲠᲘᲡ გაყვანისა და კრეტის მომავალ თვითმმართველობის გამო.

ᲐᲗᲘᲜᲐ. ექვსის დიდ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა 18 თებერვალს გარდასცეს მთავრობას იმ შენაარსისავე ნოტა, რომელშიაც, ერთის მხრივ, ნათქვამია, რომ კრეტს მიეცეს სრულიად თავისუფალი თვით-მართველობა სულთანის უზენაესის მფარველობასა ქვეშეო და, მეორეს მხრივ, დიდნი სახელმწიფონი თხოულობენ, რომ საბერძნეთის ᲯᲯᲐᲠᲘ გამოყვანილ იქმნას კუნძულიდგან და გემები განშორდნენ კრეტის წყლებს.

ᲝᲖᲐᲘᲝ. მაკ-კინლეი ვაშინგტონს წავიდა. მოქალაქენი დიდის აღტაცებით მიეგებნენ რკინის გზის სადგურზედ. მოკლე გამოსამშვიდობებელს სიტყვაში, რომელიც დიდად მოეწონათ, მაკ-კანლეიმ განაცხადა, რომ ჩემი სანატრელი საგანი ის არის, ისეთი რამ მოვიქმედო, რომ ხელი წარუმართოს ქვეყნის კეთილ-დღეობასა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ 18 თებერვალი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
რუთ მანეთიანი ოქრო. . . .	—,,	— „	— „
3%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა	209½	— „	—
4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	—	— „	101⅜
6% ფურცლები ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა .	102	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	99½	— „	— „
6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა	102	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	99¼	— „	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	98¾	— „	—
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	—	—	280¼
6% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	—	—	260

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ.

საყოველთაოდ აცხადებს, რომ იმ განცხადებაში, რომელიც უკვე დაბეჭდილ ამომრჩეველთა სიას წინ უძღვის, შემდეგი კარრექტურული შეცდომებია: 1) ნათქვამია ვითომ ეხება გამოცხადებული იყოს 14-ს თებერვალს და 2) ვითომ ამომრჩეველთაგან ამ სიაში მომზდარ შეცდომისა და ნაკლის შესახებ განცხადებათა მიღება 5 მარტიდგან შეიძლებაო. ნამდვილად-კი სიები გამოცხადებულ იქმნა 18 თებერვალს, რომელ დღიდგანაც ამომრჩეველთ შეუძლიანთ თავისი განცხადება წარმოადგინონ ქალაქის გამგეობაში 2 კვირის განმავლობაში, ე. ი. 5 მარტამდე. (1—ნ.—1)

თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . 2 მ. კ.

აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . 3 „ „

აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . . 60 კ.—80 კ.

წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . 25 კ.—30 კ.

ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაეთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაკერინოს, შეუძლიან მიჰმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, Ს. ᲠᲝᲖᲐᲜᲝᲕᲘᲡᲗᲐᲡ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲜ.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ გამოაცხადა რა ამ 18 თებერვალს ამომრჩეველთა სიები ამოსარჩევად ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა, შემდეგის ოთხის წლისათვის 1897—1901, ამით საყოველთაოდ აუწყებს ბბ-ნთ ამომრჩეველთ, რომ ორის კვირის განმავლობაში გამოცხადების დდიდამ, ესე იგი, 5 მარტამდე 1897 წ. იგი გამგეობა მიიღებს ყოველს საჩივარს ამომრჩეველთაგან მასზე, თუ იგი სიები ან სწორედ შედგენილნი არ არიან, ან არა-სრულად და თუ საჩივარი გმასაყოფელად არ იქმნება გადაწყვეტილი გამგეობისაგან, მოჩივარს ნება აქვს გამგეობის გადაწყვეტილებაზე საჩივარი მიართოს ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს შვიდის დდის განმავლობაში მას შემდეგ, როცა გადაწყვეტილება გამგეობისა გამოეცხადება.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲐᲣᲬᲧᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲣᲠᲒᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲘ ᲮᲛᲝᲡᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲝᲗᲮᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1897—1901.

ᲐᲛᲘᲗ ᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲐᲣᲬᲧᲔᲑᲡ ᲑᲑ-ᲜᲗ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲝᲗᲮᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1897—1901, ᲐᲛᲘᲗ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲐᲣᲬᲧᲔᲑᲡ ᲑᲑ-ᲜᲗ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐᲜ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲡᲐᲠᲩᲔᲕᲐᲓ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲮᲛᲝᲡᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲝᲗᲮᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1897—1901 Წ.

ᲤᲝᲗᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ამით აუწყებს თავისს წევრთ, რომ კვირას, 30 მარტს, ამაწლისას, დილის 10 საათზე, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება ამა საზოგადოების წევრთა.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს:

1) საზოგადოების 1896 წლის ანგარიში.

2) ხარჯთ-აღრიცხვა 1897 წლისა.

3) არჩეულ უნდა იქმნას საზოგადოების საბჭოს სამი წევრი, იმათ ნაცვლად, რომელნიც სამსახურის შესრულებისა გამო ანგებენ თავს ამ თანამდებობას.

4) არჩეულ უნდა იქმნას მმართველობის თავმჯდომარე, ეხლანდელის ნაცვლად, რომელიც თავს ანებებს თავისს თანამდებობის სამსახურის შესრულებისა გამო.

5) არჩეულ უნდა იქმნას სამი წევრი სარევიზიო კომისიისა და სამი ამათი კანდიდატი.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს ბ-ნ წევრთ აღრევე იზრუნონ რწმუნების ქაღალდებისათვის, რომელნიც, საზოგადოების წესდების მე-36 §-ის ძალით, საზოგადო კრებამდე სამის დღით ადრე უნდა იყოს წარმოდგენილი საზოგადოების მმართველობაში, ე. ი. ამა წლის 26 მარტზედ არა უგვიანესს, რათა უფლება ჰქონდეთ კენჭისა ამა კრებაზედ.

(3—ნ—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Февраля 1897 г. ᲢᲘᲤᲚᲘᲡᲘ Ქ. ᲛᲬᲠᲐᲕᲘᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲮᲘᲕᲗᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲓᲐᲙᲝᲕᲘ.